სამშობლო

ხუთშაბათი
24 დეკემბერი
წელიწადი I.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. **განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 8 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 249 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 249

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო"-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ **ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები**

რადგან ამ დღეებში ქაღალდის ფასმა კიდევ მოიმატა წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მან. ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მან. და 40 კ. თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კაპ. დამატებით 7 კაპ. პროვინციაში **თვიურათ დაკვეთა არ შეიძლება**, ადგილობრივ კი თვიურათ დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვში.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს—4 მან., პირველ ივლისს—3 მანეთი და ენკენისთვეში 2 მან.

სოფლის მოამბეებს დასტამბულ კორესპონდენციაში მიეცემათ სასყიდელი.

წერილები უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვეულისა და სუფთა ხელით.

დაწუნებულ წერილმან წერილებსა და ლექსებს რედაქცია არ შეინახავს და არც კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას მათ შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

შაბათს, 26 დეკემბერს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი კვალითის წმინდა გიორგის ეკლესიაში

ივანე ნარიმანის ძის საყვარელიძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხრებული მეუღლე მისი მადია სიმონის ასული საყვარელიძისა, მამა ნარიმან ბეჟანის ძე საყვარელიძე, და ნინო ნარიმანის ასული ლორთქიფანიძისა და ძმები: ალექსანდრე ნიკოლოზ და დავით ნარიმანის ძენი საყვარელიძეები.

წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. 1—1—7056

უსაზღვრო მწუხარებასა შინა მყოფნი გიორგი გაბრიელის ძე ჩომახიძე და მეუღლე მისი სონა პლატონის ასული ჩომახიძისა; პასიკო პლატონის ასული ქუთათელაძისა და მეუღლე მისი ვანო მერაბის ძე ქუთათელაძე; კოლია პლატონის ძე ალაშვილი და გაიანე პავლეს ასული დადიანისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი საყვარელი და დაუვიწყარი შვილის, მეორენი და მესამე ძვირფასი დისწულის, ხოლო უკანასკნელი ნათლულის

დავით გიორგის ძის ჩომახიძის

უდროვოთ გარდაცვალებას.

გამოსვენება მიცვალებულისა თფილისის ქუჩაზე საკუთარი სახლიდან № 15. დაკრძალვა მოხდება 27 დეკემბერს, დილით კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე სათიჩხის სასაფლაოზე 2—1—7063.

„**ქართული დრამა** **ქალაქის თეატრი.**

სადღესასწაულო რეპერტუარი.

1915 წელი, დეკემბერი, 27

მადამ სან-ჟენ

სარდუსი.

1916 წელი იანვარი.

ღალატი.

სუმბათაშვილისა.

იანვარი 1. ბენეფისი ეფ. მესხისა

მ ე დ ე ა.

იანვარი 2.

სამზადისი

ბედნიერი დღე

ირეთელისა (პირველად).

იანვარი 3.

უგვირგვინო მეფენი.

შანშიაშვილისა.

იანვარი 6.

მეფე ლირი

გ. გუნიას გასტროლი.

ცალკე აფიშები არ გამოვა.

ყველა წარმოდგენები დაიწყება საღამოს 8 საათზე.

3—3 რეჟისორი **შ. დადიანი.**

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და სერვქეს ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი

რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო

კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ბორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

ექიმი

ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ბეჟია

მ. მ. კოხრეიძე

ურის ყვავილს, ყურებს ნემსებს, ეხმარება შობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზის პირდაპირ.

ელექტრო „**რადიუმი**" თეატრი

ორშაბათიდან, 21 დეკემბრიდან მხოლოდ სამი დღით დიდებული მხატრული პროგრამა.

განსაკუთრებით მოზდილთათვის.

შურის მაძიებელი.

დრამა 4 ნაწ. არციბაშევის მოთხრობიდან, მსახიობების: მურატოვისა და სპერანსკის მონაწილეობით.

ხივა და ხიველები. სანახაობა.

სასიძო შეცდომით

კომიკური სურათი. მოსწავლეებს და ბავშვებს ამ სურათებზე არ დაუშვებენ.

ფასი ჩვეულებრივია.

მოწოდება

ამ თვის 27 რიცხვს, დღის 11 საათზე, ქუთაისში მთავრობის ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის ყველა სახელწოდებისა და ტიპის დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელი საორგანიზაციო კრება, რასაც საზოგადოების დამაარსებელნი აუწყებენ მასწავლებლებს და სთხოვენ დაესწრონ ამ კრებას. 4—3

განცხადება.

ქუთაისის საზოგადო საკრებულო მოუწოდებს მსურველთ:

1 ეკონომის თანამდებობაზე და 2 საზაფხულო და საზამთრო სადგომებში ბუფეტის მოიჯარადრეს

პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ მორიგ მამასახლისს ყოველ დღე საღამოს რვა საათიდან თორმეტამდი 20 ს იანვრამდი 1916 წლ.

მამასახლისთა საბჭო 3—1

ექიმი

ი. ჩარექიშვილი ქალაქ. სავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე. დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. (თ.)

ექიმი

ბ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებათა ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უოფადი ქალაქის თავის დ. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

ბრძოლის პირი უკანასკნელ დღეებში საგრძნობლათ არსად არ შეცვლილა.

დღესაც, როგორც წინეთ, მთავარი ყურადღება რუსეთის ასპარეზს აქვს მიპყრობილი. დანარჩენი ასპარეზები თითქოს მიყუჩდენ და რუსეთის ფრონტის ბრძოლის გადაჭრას ელიან. ბალკანეთიდან ბოლოს დროს ცნობა არც კი მოდის. რას აპირებენ აქ ცენტრალური სახელმწიფონი, ძნელი წარმოსადგენია. ჯერ-ჯერობით კი თითქოს ისინი გულგრილათ შესცქერიან მოკავშირეთა მზადებას სოლუნში და ხელს არ უშლიან მათ მუშაობას. იტალიიდანაც ძველებური, ერთნაირი შინაარსის დეპეშები მოდის. ამ ნაირათ ყველა ფრონტზე სიწყნარეა, მხოლოთ რუსეთის ფრონტზე სწარმოებს დიდი ბრძოლა. აქაც ყურადღება მიპყრობილი აქვს ჯერ-ჯერობით სამხრეთის რაიონს. როგორც ვსწერდით, ამ რაიონს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ბალკანეთის ერთი ნეიტრალური სახელმწიფოსთვის, სახელდობრ რუმინიისთვის. ორივე მოპირდაპირე რუმინიაზე გავლენის მოსახდენათ აწარმოებს აქ გადამჭრელ ბრძოლას, ამისთვის ორივე მოპირდაპირეს აქ დიდძალი ჯარისთვის მოუყრია თავი. ამასთანავე ამ რაიონს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. რუსები ემუქრებიან ისევ გალიციას და ავსტრიელები კი კიევის რაიონს.

ბრძოლა სწარმოებს აქ ორ ადგილას მდ. სტრიპაზე და ჩარტორიისკის რაიონში. უკანასკნელი დეპეშის ცნობით, ჩარტორიისკის რაიონში რუსებს ერთ ადგილას მოპირდაპირე შეუვიწროებია და უკან დაუხევინებია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოთ კერძო შეტაკებაა და ამას გადამჭრელი ხასიათი არ ექნება.

მდ. სტრიპაზეც რუსებს დაუკავებიათ მტრის სანგართა ერთი ნაწილი. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსებს წინ წაუწევიათ და დაუკავებიათ მოპირდაპირის სანგართა ერთი ნაწილი. ამ ნაირათ ბრძოლა ამ რაიონში ჯერაც არ დამთავრებულა. რადგანაც ორივე მოპირდაპირეს აქ დიდძალი ჯარისთვის მოუყრია თავი, ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია რანაირ ხასიათს მიიღებს ეს ბრძოლა. ორივე მოპირდაპირე სცდილობს ერთმანეთს თავი დაუარონ.

ჩრდილო რაიონში გერმანელები ცდილობენ მდ. დვინას გადალახვას, მაგრამ მათ ცდას უნაყოფოთ ჩაუვლია და უკუქცეულან.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 22 დეკ. დასავლეთის ფრონტი. ელიზენფოგის რაიონში გერმანელები შეეცადენ მდ. დვინაზე გადმოსვლას, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა შეაჩერა, სტაცარგრადის რაიონშიაც შეეცადენ გერმანელები ჩვენს თხრილებს მოახლოებოდენ, მაგრამ აქაც გაფანტულ იქნენ. ჩარტორიისკის რაიონში მტერი გამოვდევნეთ ტყიდან კოსტიუხნოვკის და პოლჩერვიცის შუა. სტრიპის შუა მიმდინარეობის რაიონში ჩვენმა ჯარმა გადალახა მავთულის ხლართები და დაიკავა თხრილების ნაწილი მტრისა. დბელიაიცის აღმოსავლეთით იერიშით ავიღეთ სიმაგრე. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხელში ჩავიგდეთ მტრის რამდენიმე თხრილი, რომლის აღების დროსაც მტრისაგან მოტანილი კონტრიერიშები ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა შეაჩერა და დიდი ზარალიც მიაყენა.

კავკასიის ასპარეზი.

მდგომარეობა უცვლელია.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

„რუსკია ვედომ“ ატყობინებენ, რომ ბულგარელები მთელი თავის ენერგიით ცდილობენ ადრიატიკამდი მიღწევას. ხმებია—იგინი ტომასანამდი მივიდნო.

—

გაზ. „პეტიტ ჟურნალი“ იტყობინება, რომ სოფიიდან კონსტანტინოპოლს გერმანელების ჯარის ორი დივიზია გაგზავნეს. გაზეთი აღნიშნავს, რომ დივიზიის გაგზავნა გამოწვეულია ადგილობრივ მცხოვრებლების უკმაყოფილებით.

—

ამავე გაზეთის ცნობით გერმანელებმა ეგვიპტისკენ გალაშქრებაზე ხელი აიღეს და ინდოეთისკენ გასალაშქრებლათ ემზადებიანო. ამის გამო მათ განზრახვა აქვთ შეაგროვონ 400000 ოსმალო და 100000 გერმანელი ჯარის კაციო. ჯარის უფროსათ იქნება ფონ დერ-გოლც-ფაშა.

—

ჰოლანდიის გაზეთების ცნობით გერმანელების ზარალი 15-26 ნოემბრამდი 65,340 კაცს უდრის დაკარგული, დაჭრილი და მოკლული წინათ გამოქვეყნებულ ცნობებთან ერთად საერთო რიცხვი გერმანელების ზარალისა უდრის 2,244,248 კაცს.

—

პეტროგრადიდან იტყობინებიან: აღმოსავლეთ აზიის საზოგადოების გემი „ცეილონი“ 12 დეკემბერს ბალტიის ზღვაში გერმანელებმა დაიჭირეს. გემი მიდიოდა ნორდლანდიიდან გეტერბორგს,

—

„ჰამბურგერ ფრემდენბლატ“-ს სოფიიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ, ბულგარეთის მთავრობის ოფიციოზის „ნაროდნი პრავა“-ს ცნობით, საბერძნეთის ელჩმა ნაუმმა სოფიაში რადოსლავოვს განუცხადა: საბერძნეთის მთავრობა არ დაუშლის ბულგარეთის ჯარს საბერძნეთის ტერიტორიაზე გადასვლას, თუ ეს აუცილებელი საჭიროება იქნება ბულგარეთისა და ცენტრალურ სახელმწიფოების ინტერესებისათვისაო. რადოსლავოვმა დიდი მადლობა გადაუხადა ელჩს და დაარწმუნა, რომ ბულგარეთის ჯარის მოქმედება საზიანო არ იქნება საბერძნეთის ინტერესებისათვის, პირიქით, მის ინტერესებს დაიცავსო.

—

კონსტანტინოპოლში მყოფ გერმანეთის ახალი ელჩის, გრ. ვოლფ მეტერნიხის მოთხოვნით, ოსმალეთის მთავრობამ ახალი კომისია დანიშნა სამხედრო დროის კანონების შეცვლის საკითხის გამოსარკვევათ. პირველი კრება კომისიისა 27 ნოემბერს იყო.

—

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი დეპუტატი რიულე, რომელმაც რეიხსტაგში გაილაშქრა ახალი სამხედრო სესხის და საიმპერიო ბიუჯეტის წინააღმდეგ, პარტიულ საოლქო ორგანოში ამტკიცებს მეუმრავლესეთა და მეუმცირესეთა შორის მომხდარ უთანხმოების გამო კავშირის გაწყვეტის აუცილებლობას მეუმრავლესეებთან. იგი არწმუნებს თავის თანამოაზრეებს კავშირის გაწყვეტის აუცილებლობაში და მოუწოდებს მათ კავშირის გაწყვეტით გამოიყვანონ პარტია უხერხულ მდგომარეობიდან და მით დაიცვან პარტიის ლოზუნგების სიმტკიცე.

შობა დღე მტრის ბანაკში.

როვნოდან მოსულები გადმოგვცემენ, რომ შობის დღესასწაულის პირველი დღე მტერმა საარტილერიო ცეცხლის გაძლიერებით აღნიშნა. ცეცხლი მიმართული იყო სოფელ პუგაჩოვკის წინააღმდეგ იკვაზე. სროლის დროს ნიშანი ამოიღეს ჩვენი მოწინავე სიმაგრეები. სროლა რამდენსამე საათს გაგძელდა. ჩვენმა არტილერიამ ენერგიულათ უპასუხა და წარმატებაც ქონდა. შუადღისას გერმანელებმა სროლა შესწყვიტეს და დანარჩენმა დღემ წყნარათ გაიარა.

თაალათ ბეის გამგზავრება მცირე აზიაში.

კონსტანტინოპოლიდან ცნობაა,—ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრი თაალათ ბეი და საინტენდანტო უწყების მთავარი უფროსი იზმაილ-ხაკკი-ფაშა 28 ნოემბერს ანგორისკენ გაემგზავრენ, სადაც ამ დღეებში დიდი ამბოხება იყო. ამბოხება გამოიწვია საქონლისა და სპილენძის რეკვიზიციამ, რომელიც გერმანელმა აფიცრებმა მოახდინეს და თან განუცხადეს მცხოვრებლებს, რომ ჩამორთმეული საქონელი და სპილენძი გერმანიაში უნდა გავგზავნოთო. თაალათ ბეიმ როცა საქმის გარემოებას ადგილობრივ გაეცნო, უთანხმოების ჩასაქრობლათ, განკარგულება გასცა—არ გაიგზავნოს საქონელი ანგორის ვილაეთიდან. გერმანელების დასაკმაყოფილებლათ ნება მისცა გაიგზავნოს ანგორიდან მხოლოდ 2000 ძროხა 6000 ცხვარი და 12000 ცხენი. ანგორიდან თაალათ ბეი გაემგზავრა ბალიასა და კარაიდინს სპილენძისა და ტყვიის მადაროებში, სადაც მუშათა მღელვარება ძლიერი იყო. თაალათ ბეიმ აქაც მოახერხა უთანხმოების ჩაქრობა მშვიდობიანი მოლაპარაკებით მუშებსა და გერმანელებს შორის.

ლოიდ-ჯორჯის სიტყვა.

ინგლისის სახელგანთქმულმა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა 13 დეკემბერს, ქალაქ გლაზგოში მუშების მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა; და ეს სიტყვა შეეხებოდა ამ ომიანობის დროს ინგლისში გამოცემულ ახალ კანონს, რომელსაც „მუნიციონ აქტი“, ეწოდება. ეს აქტი იმ მუშების თავისუფალ მოქმედებას ბევრი მხრით ზღუდავს, რომლებიც სამხედრო მასალის დამზადებაში არიან დასაქმებულნი; ის აუქმებს საწარმოვო დაწესებულების ბევრ ისეთ წესს, რომელთა შემოღებისათვის ინგლისის ტრედ-უნიონები რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში თავგამეტებით იბრძოდენ. მაგალითად, ეს კანონი ბევრ დარგის მუშებს გაფიცვას უკრძალავს, ავიწროებს მუშების თავისუფლათ გადასვლას ერთი დაწესებულებიდან მეორეში, და ბოლოს მრეწველთ ნებას აძლევს დახელოვნებულ მუშების ალაგას უბრალო მუშები და ქალები ამუშაონ, რაც აქ მდე ტრედ-უნიონების მოთხოვნით აკრძალული იყო და რაც ინგლისის ცხოვრების ნორმების დარღვევათ ითვლებოდა.

ახალი სამხედრო დროის კანონის ერთი პუნქტი, რომელიც გაფიცვას შეეხებოდა, ცხოვრებაში სულაც არ გატარდა მაგალითად, როცა სამხრეთ—უელსში მთა-მადნის მუშათა გაფიცვამ იფეთქა, ეს კანონის ძალით ვერაფერი გააწყვეს და იძულებული გახდენ მუშების [illegible] თმოთ. სამაგიეროთ [illegible] ადგილი დაიკავა იმ პუნქტმა, რომლის ძალითაც მუშებს ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადასვლა ეკრძალებათ. ამ გარემოებამ მუშებში დიდი უკმაყოფილება დაბადა. ამის გამო მთავრობა აქაც იძულებული გახდა, რომ ხსენებული პუნქტის შესამსუბუქებლათ ახალი დამატებითი დიდი (კანონი) შეეტანა პარლამენტში, რომელიც ხაზეინების ამ მხრით მოქმედებას და მათ მიერ მუშების შევიწროებას რამდენიმეთ მაინც შეზღუდავდა.

მუშები უფრო ნაკლებათ აცხადებდენ პროტესტს კანონის იმ პუნქტის წინააღმდეგ რომელიც დახელოვნებულ მუშების ალაგზე უბრალო მუშების და ქალების დაყენებას შეეხებოდა, რადგან ამის პრაქტიკაში გატარებას თვითონ ხაზეინებიც არ ცდილობდენ, რამდენათაც კი მათ დახელოვნებული მუშა ხელი ეშოვებოდათ. და აი ამ გარემოებამ, რომ ხსენებული კანონი ცხოვრებაში ძალიან ნაკლებათ ტარდებოდა, მიიპყრო ლოიდ-ჯორჯის ყურადღება, დაუყონებლივ მიმართა მან ერთი მხრით ხაზეინებს ცირკულიარით, ხოლო მეორე მხრით მუშებს სამიტინგო სიტყვით.

ხაზეინებს მან წინადადება მისცა, რომ ყველგან, სადაც კი შესაძლებელია დახელოვნებული მუშების ალაგას უბრალო მუშები და ქალები ამუშაონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მინისტრის აზრით, სახელმწიფოს წარმოება არა ნორმალურ მდგომარეობაში ჩავარდა. მინისტრის ცირკულიარმა ხაზეინებზე, რა თქმა უნდა, იმოქმედა, და ყველგან საწარმოვო დაწესებულებებში უბრალო მუშათა და ქალთა რიცხვმა მალე შესამჩნევათ იმატა; ამ უკანასკნელმა გარემოებამ კი თავის მხრით მუშებში მღელვარება გამოიწვია. მაგრამ როგორც მინისტრის სიტყვიდან სჩანს, მთავრობას, მიუხედავათ ამისა, გადაწყვეტილი აქვს, რომ სამხედრო მასალა საჩქაროთ დაამზადოს და ისიც რაც შეიძლება ბლომათ, ყველა ასეთ საწარმოვო დაწესებულებებში მიიწვიოს უბრალო მუშათა და ქალთა მთელი არმია. ლოიდ-ჯორჯმა კარგათ იცის, თუ რა გავლენას მოახდენს დახელოვნებულ მუშებზე მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება. ამიტომაც მან თავის ჩვეულებრისამებრ პირადათ მიმართა მუშებს ქ. გლაზგოში მიტინგზე და შეეცადა დაერწმუნებია ისინი, რომ მუშები დიდ პატრიოტულ საქმეს გააკეთებენ თუ დროებით დათმობენ და საწარმოვო დაწესებულებებში უბრალო მუშებისა და ქალების დაუბრკოლებლივ მიღები წინააღმდეგ არ აღუდგებიან.

სახელმწიფო, ერი და კლასი.

პირველ-ყოფილ საზოგადოებაში სწარმოობს ბრძოლა თემთა შორის: პირიქითა თემი ებრძვის პირაქეთა თემს. ამ დროს ჯერ არ არის განვითარებული ეროვნული შეგნება.

სადაც ბრძოლაა, იქ ერთობაც არის, და თემები ქმნიან კავშირს, რომელიც ებრძვის სხვა კავშირს. პირველად ამ კავშირთ მხოლოდ გეოგრაფიული პირობანი საზღვრავენ. მაგრამ მალე ერთად ცხოვრება და ნათესაობა, შერევა, ქმნის კავშირს ერთ ერად. და შემდეგ კავშირნი ებრძვიან ერთმანეთს, როგორც ეროვნული ორგანიზმები. მაშასადამე, აქ ერთგვარი ევოლიუცია ხდება, რომელიც სპენსერის თეორიის თანახმად მოასწავებს ჯგუფთა დიფერენციაციას, განსხვავებას, ე. ი. პირველყოფილი ერთფეროვნების სხვადასხვაობად გარდაქმნას.

თავისი მხრით, ამგვარი დიფერენციაცია, ე. ი. ჯგუფთა ერებად გარდაქმნა, წარმოადგენს ახალ სტიმულს, ანუ პირობას, შემდეგი განვითარებისთვის.

მას შემდეგ, რაც გაჩნდენ ერები, ბრძოლამ უფრო მწვავე და ფართო ხასიათი მიიღო. ვინც სხვას თავს არ დაეცემოდა და დაიმონებდა, თვითონ შეიქნებოდა დამონებული. ამ გვარად გაჩნდენ დიდი სახელმწიფონი.

და ეს ახალი სოციალური ფაქტორი, ე. ი. კაცობრიობის დაყოფა ერებად, ისე ძლიერი გამოდგა, რომ გადალახა გეოგრაფიული საზღვრები. ერი ქმნის სახელმწიფოს და აფართოებს თავისი ტერიტორიის საზღვრებს, ვიდრე მას სხვა ერი წინ არ გადაეღობება.

და, ვინ იცის, კაცობრიობა რომ ერებად არ დაყოფილიყო, იქნება არც კი ყოფილიყო მონობა.

ავიღოთ, მაგალითად, ძველი რომი. რომისა და ლაციუმის სხვა თემების კავშირი, მართალია, ებრძოდენ ერთმანეთს, მაგრამ მათ იმდენად შეგნებული ჰქონდათ ეროვნული ერთობა, რომ დიდ ხანს წარმოადგენდენ კავშირს, რომელშიაც თითოეულ თემს თანასწორი ხმა ჰქონდა საერთო, საკავშირო კრებაზე. ეს თემები ერთად აარსებდენ ახალშენებს დაპყრობილ ქვეყნებში, თანასწორად ინაწილებდენ ნადავლს, სარდლების ადგილებსა და სხ. და, თუმცა რომმა, როგორც წინამძღოლმა თემმა (პირველად ალბა იყო მთავარი თემი), თანდათან მიითვისა სხვადასხვა უპირატესობა, რამაც ბევრჯერ გამოიწვია ბოლოს ლათინთა აჯანყებანი,—მაგრამ ამ ბრძოლის ბოლოს სამოქალაქო გათანასწორება მოყვა შედეგად.

სულ სხვა გვარი იყო რომისა და ლათინთა კავშირის ბრძოლა არა ლათინებთან. უკანასკნელთა დაპყრობა—დამონებით დასრულდა და მათ მხოლოდ მაშინ მიეცათ სრული სამოქალაქო უფლებანი, როდესაც გალათინდენ.

ცხადია კი, რომ ეტრუსკებს, ბერძნებსა და სხ. რომაელები მიტომ მოეპყრენ, შედარებით, ლმობიერად, რომ მათი შემწეობით უფრო საშიშარ მტრებს გამკლავებოდენ, ე. ი., ერთი მხრით, ჩრდილოეთიდან შემოსულ კელტებსა და მეორე მხრით, კართაგენელებს.

შორეულ მტრებს კი ისინი სასტიკად მოექცენ: ჩრდილო იტალიაში აუარებელი კელტი გაჟლიტეს, კართაგენი მთლად აღგავეს პირისაგან ქვეყნისა და მისი მცხოვრებნი ცეცხლში დაიწვნენ.

მაშასადამე, ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ თემთა შორის არ იყო ისეთი მწვავე ბრძოლა, როგორიც იყო ერთა შორის და ეს გამწვავება ეროვნულმა დიფერენციაციამ გამოიწვია.

გავიხსენოთ ჩვენი საკუთარი ისტორიული თავგადასავალი. ჩვენი ფეოდალები და თემები თითქმის ყოველთვის ებრძოდენ ერთმანეთს, მაგრამ არასოდეს მათ ერთმანეთისთვის ისეთი ზიანი არ მიუყენებიათ, როგორიც მიაყენეს ძველად ჩვენს ქვეყანას სპარსებმა, არაბებმა, მონღოლებმა და სხ.

და შაჰ-აბაზმა რომ საქართველოდან 200,000 კაცი გადაასახლა, ეს ძველ ასურელთა და სხვა გაბატონებულ ერთა ჩვეულებრივი პოლიტიკა იყო.

რომი რომ ახალშენებსა და ციხეებს აშენებდა დაპყრობილ ქვეყნებში, მიტომ, რომ რომაელთა გამრავლებითა და ადგილობრივ მცხოვრებთა გარომაელებით უნდოდა უზრუნველეყო თავისი ბატონობა.

ერთი სიტყვით, ეროვნულმა ბრძოლამ შექმნა და შეაჯახა ერთმანეთს დიდი სახელმწიფოები და ამ დიდმა და ულმობელმა ბრძოლამ ქვეყნის წინასწორობა შეარყია.

საიდან წარმოსდგა მონობა? მრავალი ფაქტის განხილვის შემდეგ სპენსერი ამ დასკვნამდის მიდის: „ჩვენ შეგვიძლია, საზოგადოდ, აღვიაროთ მონობა, როგორც ომის შედეგი, რადგან მონობის წარმოშობის მიზეზთა შორის ყველაზე უფრო საყოველთაო და ფართო—ომია (იხ. მისი „საფუძველნი სოციოლოგიისა“, რუს. თარგ. 1898 წ. გვ. 628).

შეიძლება ამგვარი აბსოლიუტური თქმა არა მეცნიერულიც იყოს. მაგრამ უეჭველი კია, რომ ომი ერთ-ერთი ისეთი პირობაა, ურომლოდაც შეუძლებელი იქნებოდა მონობა.

ძველი ბერძნები, რომაელები და სხ. ტყვეებს მონებად ხდიდენ. და რაც უფრო განვითარდა მათი სამხედრო ძლიერება, მით უფრო გამრავლდა მონათა რაოდენობა.

მონათა გამრავლებამ კი წარმოშვა შინაური სოციალური უთანასწორობა. ვისაც მეტი ჰყავდა მონე, ე. ი. მეტი ჰქონდა სიმდიდრე, მან ხელში ჩაიგდო მიწაწყალიცა. ამგვარად დაიბადა პროლეტარიატი. და ძველი საბერძნეთისა და რომის შინაგანი ისტორია წარმოადგენს ბრძოლას არისტოკრატიასა, პროლეტარიატსა და მონებს შორის. განვიხილოთ ამ თვალთა ხედვით რუსეთის ისტორია.

მოსკოვის სამთავრომ რომ მთელი დიდი რუსეთი გააერთიანა, მიტომ, რომ საჭირო იყო გარეშე მტრების მოგერება. და, რადგან იმ დროს ამ მიზანს ერთმეფობა უკეთ შეასრულებდა, ვიდრე „უდელების“ კავშირი, მოსკოვის მთავარი შეიქნა მეფედ ჯერ ფაქტიურად და შემდეგ ოფიციალურადაც (იოანე IV მრისხანემ დაიდგა მეფის გვირგვინი 1547 წელს). მაგრამ უკვე მისი ბაბუა ივანე მესამე (გარდაიცვალა 1505 წ.) უკვე ატარებდა მეფის ხარისხს სხვა მთავრებთან და მეფეებთანა მიწერ-მოწერაში და ედიდურებოდა თავის „ბოიარებს“ (თავადებს).

იმპერატორის მაქსიმილიანის მოციქულის სიგიზმუნდ გერბერშტეინის სიტყვით იოანე მესამის შვილის, ვასილ III-ის დროს რუსები დიდი მთავრის ნებას ღვთის ნებად აღიარებდენ და, როდესაც რამე არ იციოდენ, ეტყოდენ: ეს მხოლოდ ღმერთმა და დიდმა ხელმწიფემ იციანო. და მისი თავადი ბერძენ ბეკლემიშევი ამბობდა: ხემწიფე ჯიუტია, სიტყვა რომ შეუბრუნო, გაფიცხდება; გამომწყვდეული თავის საწოლ ოთახში და ყველა სახემწიფო საქმეს თვითონა სჭრისო.

იოანე მრისხანემ ხომ კიდევ უფრო დაიმორჩილა თავადები და მათ თავის ყმებად აღიარებდა.

საინტერესოა მიწერ-მოწერა ლიტვაში გაქცეულ თავადს კურბსკისა და იოანე მეოთხის შორის. კურბსკი სწერდა: მეფე საერო კრებამ (ზემსკი სობორს) უნდა [illegible] ხოლმე, თუ სურს, სახელმწიფო საქმეები კარგად მოეწყოსო. იოანემ კი აი რა უპასუხა: განა ეს უგუნურობაა, რომ ჩემი სამეფო ხელში მიპყრია და ჩემი ყმები (ხოლოპები) არ [illegible]? და, თუ ჩვენს ყმებს ნება გვქონდა [illegible], სიკვდილითაც [illegible]“. რიურიკებს უკანასკნელი წარმომადგენელი თეოდორე ივანეს ძე გარდაიცვალა 1598 წელს და იმავე წელს [illegible] რომ, საერო კრების მიერ მეფედ იქნა არჩეული. მისი და ვასილი შუისკის მეფობანი, აგრეთვე უმეფობა 1610—1613 წლებს შორის—არეულობის ხანა იყო. დიდი განსაცდელი გამოიარა რუსეთმა ამ დროს შინაური უთანხმოებისა და გარეშე მტრის შემოსევისაგან, მაგრამ თვითმპყრობელობის იდეა შეურყეველი დარჩა და მიხეილ თეოდორეს ძე რომანოვის (გამეფდა 1613 წ.) მეფობა—გაგრძელება იყო წინანდელი მეფეების შინაური პოლიტიკისა. მართალია, მიხეილ თეოდორეს ძის დროს საერო კრება [illegible]

მაგრამ ლოიდ-ჯორჯის სიტყვამ მუშები ვერ დაარწმუნა სავსებით იმაში, რომ ასეთი წესი დროებითი იქნება და ომის შემდეგაც არ დაურჩება მას ძალა; ამიტომაც ჯორჯის წინადადებას მუშებმა ეჭვის თვალით შეხედეს და მინისტრის სიტყვა რამდენჯერმე შეაწყვეტინეს.

ცხადია, მუშები მთავრობას არ დაუთმობენ ისე, თუ იგი არ შეეცადა და იმის გარანტია არ მისცა მათ, რომ ახლად შემოღებული კანონი ომის შემდეგ მაინც მათ უფლებას არ შეზღუდავს.

ცხადია ისიც, რომ ინგლისის მთავრობაც არ დააყოვნებს და მუშებს ასეთ გარანტიას აუცილებლათ მისცემს. ასე ურიგდება ინგლისის მთავრობა თავის მუშებს. („რ. ვ.“)

რუსეთი.

(შავრაზმელთა კავშირის დადგენილებანი).

ამ დღეებში რუსთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა გამოსცა განყოფილებათა მიმართ შემდეგი დადგენილებანი.

1) ყოველკვირა უნდა იმართებოდეს ფართო სახალხო კრებები. დინჯად და მტკიცედ გაილაშქრონ ხოლმე მემარცხენეთა წინააღმდეგ. მემარცხენეთა მიმართ, უწმაწური სიტყვებს ერიდნენ.

2) უფრო მტკიცე რწმენის მემარჯვენენი უნდა ჩაეწერნენ რევოლუციონერთა პარტიებსა და ორგანიზაციებში: მუშათა კავშირებში, ეკონომიურ საზოგადოებაში, სადაც ჩვეულებრივ სოციალ-დემოკრატები მეთაურობენ. თვალყური ადევნონ სარევოლუციო ქადაგებას და რაიმე მავნე რეზოლუციის დადგენის დროს რყევა და ეჭვი შეიტანონ დამსწრეთა გონებაში, თუ დადგენილებას სულ ვერ გააუქმებენ.

3) ფიცხელი მეთვალყურეობა გაუწიონ საქალაქო და საერობო კავშირებს და მათს რაზმელებს ბრძოლის ასპარეზზე დაბრუნებისას.

4) გუბერნატორებს დახმარება სთხოვონ ხოლმე, ქუჩებში დაწყებული არეულობის დროს და ხალხს მოუყარონ თავი მეამბოხეთა ასალაგმავად.

5) მთავრობას საქმიანის თავაზიანობით და ღირსეულად მოექცნენ, ხოლო სამეგობროდ ძალიან ნუ დაუახლოვდებიან, რომ მოქმედების თავისუფლება შეინარჩუნონ. უკიდურეს შემთხვევაში მიმართონ მათ. დავიდარაბის ატეხას ერიდნენ.

6) ხალხს მიუთითონ, რომ ინტელიგენცია, მდიდრები, მრეწველნი, ბანკები და ებრაელები მოწადინებულნი არიან, ომის მიერ გამოწვეულ რუსეთის უბედურობით ისარგებლონ, რათა ხელმწიფეს თვითმპყრობელობა გამოაცალონ ხელიდან და იგი სათათბიროს უპასუხისმგებლო უმრავლესობას ჩააბარონ, სადაც აირჩევენ მისყიდულ მინისტრებს და დეპუტატებს, რათა მათი მეოხებით თავისთვის ხელსაყრელი კანონები გამოაცემინონ, როგორიც არსებობს საფრანგეთსა, ამერიკასა და სხვა საპარლამენტო ქვეყნებში. ამ მუხანათურ საქმეს მხარს უჭერენ ქალაქის საბჭოები, ერობანი და საბირჟო საზოგადოებანი.

7) ხელმწიფეს ეხვეწონ, დანიშნოს ძლიერი ნებისყოფისა და უმტკიცესი მემარჯვენე მინისტრები, მათი ამხანაგნი, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრები და მფარველობა გაუწიოს მან ჯარს და უმაღლეს მთავრობას, მემარცხენეთა შუღლისაგან, განსაკუთრებით ა. ი. გუჩკოვისაგან.

8) თუ არეულობა ქუჩაში გადავიდა, მთელს სახელმწიფოში სამხედრო წესები გამოაცხადოს, დანიშნოს ურყეველი და გაბედული დიქტატორი, დახუროს ყველა მემარცხენეთა გაზეთები, ხოლო პროვინციის გაზეთები გამომცემელთ ჩამორთვას და სანდო პირებს ჩაბარდესთ.

შემდეგ ჩამოთვლილია გაზეთები: მემარჯვენეებისა: „რუსკოე ზნამია“, „ზემშჩინა“, „პეტროგ. ვედომოსტი“, „გოლოს რუსი“, „მოსკოვსკია ვედომოსტი“, „რუსკი ინვალიდ“ და „არმეისკი ვესტნიკ“.

მარცხნივ გადახრილი: „ნოვოე ვრემია“, „ვეჩერნეე ვრემია“, „კოლოკოლ“ და „სვეტი“.

მემარცხენე გაზეთები: „რუსკოე სლოვო“, „რუსკია ვედომოსტი“, და „უტრო როსიი“.

ებრაელთა გაზეთები: „რეჩი“, „სოვრემენნოე სლოვო“, „დენ“-ი, „ბირჟევია ვედომოსტი“, „კოპეიკა“, „სინი ჟურნალ“ და სხვანი.

საარჩევნო ბოიკოტი.

გაზ. „საქართველო“ საარჩევნო ბოიკოტს ქადაგებს. რადგანაც თფილისი ისეთ საარჩევნო უბნებად დაჰყვეს, რომ ქართველებს ამის გამო ფაქტიურად საარჩევნო უფლება დაეკარგათ, სომხური პლუტოკრატიის დიპლომატიური მოქმედება, ორი-სამი ადგილი საბჭოში, ზიზღით უნდა უარვყოთ და თავში ვახალოთ [illegible] მწყალობელთ და არც ერთი ქართველი არ უნდა გაერიოს საარჩევნო ბრძოლაში. ასეთია „საქართველოს“ აზრი, რომელსაც სავსებით ვეთანხმებით.

ბოიკოტი—დამარცხებულის იარაღია, მაგრამ ისეთი იარაღი, რომელიც შეგნების უმაღლეს განვითარებას მოწმობს. ეს კი საშიშარია გამარჯვებულისთვის.

მაგრამ ამისთვის საჭიროა ეროვნული სხეულის დაქუცმაცებული ნაწილების შეკრება, შეერთება: მუშა, ხელოსანი, ვაჭარი და ინტელიგენტი ერთმანეთს მხარი უნდა მისცენ და დროებით უნდა დაივიწყონ შინაური დავა. კლასიურმა ინტერესებმა ადგილი უნდა დაუთმოს საერთოს. ერთი სიტყვით, ამისთვის შესაფერი სამოქალაქო მოწიფულობაა საჭირო.

ვართ კი მომზადებული გაერთიანებულის გამოსვლისათვის? ვეჭვობ, რადგან ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ამ საკითხში განზე არიან და კლასიური ბრძოლის პლატფორმაზე დგანან, ფედერალისტები კი ორჭოფობენ.

და მალე გავიგებთ, რამდენად დაამტკიცებს ქართველი საზოგადოება თავის სამოქალაქო მოწიფულობას. რამდენად გამომთიელდა ჩვენი ეროვნული სხეული შინაურ შლილობათა განმანადგურებელი ზემოქმედებისაგან? У.

ქართული პრესა.

თბილისის არჩევნების შესახებ „საქართველო“ სწერს:

რადგანაც თბილისის ქართველობა, როგორც ეროვნული ერთეული, თვითმართველობაში წარმოდგენილი არ არის მთელის თავის ნაირ-ნაირ სოციალური სახეებით და ვერც იქნება წარმოდგენილი დღევანდელი წესის თანახმად, ამიტომაც იგი ეროვნულად ვალდებულია არ გაინაწილოს თბილისის თვითმართველობის არც ერთი მოქმედება, არც ერთი პოლიტიკა და არც ერთი ზნეობა. თბილისის თვითმართველობისაგან ფაქტიური, იძულებითი ჩამოშორება გვავალებს ზნეობრივ-იურიდიულადაც ჩამოვშორდეთ მას და პასუხი არ ვაგოთ არც ერთ მის მოქმედებაზე. თვითმართველობის ავი და კარგი—მისმა შემადგენლობამ უნდა ზიდოს. არც ერთი ქართველი ხმოსანი არ უნდა შევიდეს მოწყალების მეოხებით, ქალაქის თვითმართველობაში, არც ერთმა ქართველმა ამომრჩეველმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ქალაქის არჩევნებში. ქართველობამ არჩევნებს სრული ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს. არჩევნების დღეს ქართველმა ამომრჩევლებმა საარჩევნო ყუთთან მისვლის მაგიერ უნდა მიაშურონ იმ დარბაზს, სადაც დანიშნული იქნება ქართველ ამომრჩეველთა კრება. ეს არის ქართველი ამომრჩევლის ერთად ერთი საყურადღებო პოზიცია მომავალ არჩევნების მიმართ. და ყოველი შეგნებული თბილისის ქართველი მოქალაქე ასე მოიქცევა!

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

სამშაბათს, 22 დეკემბერს, თ-დ ს. მიქელაძის თავჯდომარეობით მოხდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრთა მორიგი კრება. ასარჩევი იყო ქალაქის გამგეობის მეორე წევრი. ხმის ჩამოკრებით კანდიდატად დაასახელეს: ინჟ. არდიშვილი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი ს. ე. წერეთელი და მომრიგებელი მოსამართლე ფილიპე მგალობლიშვილი. მგალობლიშვილმა უარი განაცხადა ყუთის დადგმაზე.

კენჭი უყარეს ს. წერეთელსა და არდიშვილს. ს. წერეთელმა მიიღო 26 თეთრი 16 შავი, არდიშვილმა 23 თეთრი და 20 შავი. ხმის უმეტესობით გამგეობის წევრათ არჩეული იქნა ბ-ნი ს. წერეთელი.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ყველა განყოფილებაში, დღესასწაულების გამო, მუშაობა 2 იანვრამდე შეწყდება.

✦ საგზაო საქმეთა სამინისტროსაგან ქუთაისის რკინის გზის სადგურის უფროსმა მიიღო განკარგულება, რომ იანვრიდან სადგურის ყველა მოსამსახურეს ჯამაგირები მოემატება მათი თანამდებობის მიხედვითაო.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ თითო საჟენი შეშა დაუთმო უფასოთ. ბალახვანის „შოთა რუსთაველის სახელობის“ და საფიჩხიის „დავით კლდიაშვილის“ სახელობის სამკითხველოებს.

✦ 23 დეკემბერს, ქუთაისის მეწაღეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის ქალაქის გამგეობის წინაშე [illegible] დღის განსაზღვრის შესახებ.

✦ გუშინ სადღესასწაულოთ დაითხოვეს ქუთაისის ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლის მოწაფეები.

✦ ბალახვანის ქუჩის მცხოვრებლებმა 22 დეკემბერს საზოგადოება „კოოპერაციის გამგეობას საჭირო თანხა წარუდგინეს და სთხოვეს ამ ქუჩაზე გაეხსნას განყოფილება.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ს. მუხიანის (ზუგდ. მაზრ). მცხოვრებთ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „გამოფხიზლება“ აგრეთვე დ. სახხერის მცხოვრებთ ნება დართო დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ნოდი მნახე“.

✦ ს. ნიპარხოვის (ზუგ. მაზ.) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება მისცეს დაარსონ ამ სოფელში მომხმარებელი საზოგადოება „წინ“.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის არა ჩვეულებრივი კრება.

კვირას, 20 დეკემბერს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში გუბერნიის მარშლის თ-დ დ. ო. ნიჟარაძის თავჯდომარეობით შედგა ქუთაისის თავად-აზნაურობის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი ერობის შემოღების, თავად-აზნაურობის მიერ ელექტრიზაციის საშუალებით რიონის ენერგიის გამოყენებისა [illegible] სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ძირითადი თანხის შე[illegible] წინამძღოლმა მოახსენა კ[illegible] მოსაყვლეთ საქართველოს თავად-აზნაურობა უკვე შეუდგა ფიცხელ მუშაობას ერობის შესახებ, რისთვისაც იქ უკვე მუშაობს მთელი შტატი მცოდნე პირების ხელმძღვანელობით. თ-დი ნიჟარაძე წინადადებას აძლევს კრებას, მიბაძოს თფილისელების მაგალითს და აქაც მოაწყონ შესაფერი ორგანიზაცია და ამისთვის კი გამონახოს საჭირო თანხა. კრება ერთხმათ ღებულობს თ-დ ნიჟარაძის წინადადებას და ადგენს ეთხოვოს სათავად-აზნაურო ბანკს მისცეს დეპუტატთა საკრებულოს ათასი მანეთი მომავალი მოგებიდან ამ საქმის მოსაწყობათ. რიონის ენერგიის დასამუშავებლათ ნებართვის აღების შესახებ, კრება იწონებს მარშლის მოხსენებას და ავალებს მას მიიღოს ყოველივე ზომები, რომ ეს პროექტი განხორციელდეს. კრებაზე გამოითქვა სურვილი, რომ ამ დიდ საქმეში მონაწილეობა მიიღონ თავად-აზნაურობის გარდა სხვა ქართულ დაწესებულებებმა, ქალაქის თვითმართველობამ, ქიათურის მრეწველებმა, ბანკებმა და სხ.

საკითხი სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელი თანხის შესახებ თავჯდომარემ მოხსნა და წინადადება მისცა კრებას განმეორებით მოეთხოვოს სადგილ მამულო ბანკს მაისის კრების დადგენილება, რომ დამფუძნებელ თანხას ამის შემდეგ აღარ მოაკლდეს ფული სათავად აზნაურო გიმნაზიის ვალის დასაფარავათ, ვინაიდან ბანკი დამფუძნებელი თანხიდან ფარავს მხოლოდ სარგებელს გიმნაზიის ვალისას, ასე რომ ძირითადი თანხა რამოდენიმე წელიწადში გამოილევა და გიმნაზიის შენობა ისევ დაგირავებული დარჩება. კრება ერთხმათ ღებულობს ამ წინადადებას და ავალებს თავის მარშალს თ-დ დ. ო. ნიჟარაძეს, რომ მან მიიღოს ზომები და გამონახოს სახსარი ქართულ გიმნაზიის ვალების დასაფარავათ. თ-დ ერმალო გ. გელოვანმა აღძრა საკითხი თავად აზნაურობის დაწესებულების შესანახათ ერთდროული თანხის შედგენის საჭიროების შესახებ. კრებამ მიიღო ამის შესახებ გადაწყვეტილება, რომ აქედანვე დაწყებულ იქნას ამის შესახებ მუშაობა. აგრეთვე აღძრულ იქნას თ-დ. ე. გელოვანის მიერ საკითხი ბ. სილოვან ხუნდაძის შესახებ. თ-დი წინადადებას იძლევა კიდევ სთხოვოს და დაავალოს კრებამ თავის წინამძღოლს, იშუამდგომლოს ს. ხუნდაძის დაბრუნებაზე. თ-დი ნიჟარაძე აცნობებს კრებას, რომ მას ამ საქმის შესახებ ცდა არ დაუზოგავია, და აღუთქვა მას ყოველივე ზომების მიღებას ამ საქმის სასურველ დასაბოლოვებლად.

ვლდთა დუმამ, ან სათათბირომ, დიდი გავლენა მოიპოვა, მაგრამ, ჯერ ერთი, საერთო კრებათ მხოლოდ ბჭობის უფლება ჰქონდათ, მეორე, 1613 წლის შემდეგ მდაბიო ხალხის წარმომადგენელთა და სასულიერო პირთ აღარ იწვევდნენ, და, მესამე, თუ წინად ბოიარების დუმის წევრებად შედარებით უფრო დამოუკიდებელი არისტოკრატები იყვნენ, ახლა მთავრობა თვითონ ნიშნავდა წევრებად თავის მოხელეებს, რომლებსაც მოისურვებდა.

მაშასადამე, ისტორიული განსაცდელიდან თვითმპყრობელობა ხელუხლებელი გამოვიდა.

აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა: ერთმეფობა, ე. ი. თვითმპყრობელობა, და მაშასადამე, საზოგადოების კლასებად დაყოფა—საერთაშორისო ბრძოლის შედეგია.

ომიანობა უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ბატონყმობის ერთ-ერთ მიზეზად. ყმები იყვნენ უკვე რუსეთის „უდელებად“ დანაწილების დროს. მეთოთხმეტე საუკუნიდან მოსკოვის რუსეთში ამგვარი დამოკიდებულების სხვა და სხვა ფორმა იყო. გაერთიანებულმა სახელმწიფომ თავისი მხრით ხელი შეუწყო გლეხების ყმებად გარდაქცევას. 1597 წ. 27 აპრილს „უკაზმა“ აუკრძალა დავალიანებულ ყმას გამოესყიდნა თავი ვადაზე უფრო ადრე და, თუ თავისუფალი მუშა ვისთანმე ქირით იმუშავებდა ნახევარ წელზე მეტ-ხანს, ყმად აღიარა.

მეთოთხმეტე საუკუნეში გლეხს ჰქონდა უფლება გადასულიყო ერთი მემამულიდან მეორე მემამულესთან. და ამ გადასვლის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ იოანე მესამეს დროს გამოსული სამოსამართლო წიგნის (სუდებნიკის) ძალით გლეხს ჰქონდა თავისუფალი გადასვლის უფლება წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ე. ი. შემოდგომის გიორგობამდის და გიორგობის შემდეგ თითო კვირის განმავლობაში (1497). ამ კანონს ხშირად არღვევდნენ, გადასვლა, ე. ი. გაქცევა ხშირი იყო და ამ გვარ გადახვეწილ გლეხთა რაოდენობამ ძლიერ იმატა მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს. 24 ნოემბრის 1597 წლის უკაზით უნდა ძალით დაებრუნებინათ ძველი მემამულეებისათვის ის გლეხები, რომელნიც გაქცეული იყვნენ 1 სეკ. 1592 წლამდის. მაგრამ მთავრობას არ ჰქონდა საშუალება, აესრულებია მტკიცედ ეს კანონი.

ეს ამბავი მოხდა თეოდორე ივანეს ძის მეფობის დროს (გარდაიცვალა 1598. წელს.)

მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაუსრულებელი ომიანობისა, მემამულეთაგან შევიწროებისა და „ოპრიჩნინის“ გამო გლეხთა გაქცევანი ერთობ გახშირდა. ბევრი ადგილი მოსკოვის სახელმწიფოს შუაგულში თითქმის დაცარიელდა და გაქცეული გლეხები დასახლდნენ შუა და ქვედა ვოლგისა და დონის ნაპირებზე. ამგვარად გაჩნდა კაზაკთა წოდება.

მაგრამ გლეხთა უმეტესობა ასე შორს არ მიდიოდა და შორეულ მემამულეებთან მიდიოდნენ. და ბორის გოდუნოვის მიერ გამოცემული უკაზებით (1601—1602—წლებში) აეკრძალათ მოსკოვის მაზრის დიდ მემამულეთა დროებით და წვრილ მემამულეთ სრულიად გაქცეული გლეხების მიღება. მაგრამ ვერც ამან მოსპო გლეხთა გაქცევა, მით უფრო, რომ ეს უკაზები სხვა მაზრებზე არ ვრცელდებოდა.

ცრუ დიმიტრი პირველის 1 თებერვლის 1606 წლის უკაზით აკრძალული იყო გლეხის გარდაქმნა „ხოლოპად“ (ყმად). მაგრამ მეფის ვასილი შუისკის 6 მარტ. 1607 წლის უკაზით ადმინისტრაციას დაევალა დაეჭირა გაქცეული გლეხები და მიეგვარა ბატონებისათვის. და 1649 წლის დებულებით გლეხები, რომელნიც აღწერილი იყვნენ 1620 წ., აგრეთვე 1646—1647 წლების წიგნებში, აღიარებული იყვნენ კრეპოსტნიკებად, ე. ი. ისინი ვეღარ გამოიცვლიდნენ ბატონებს. ეს დიდი აქტი მოხდა პირველი რომანოვის დროს.

მაგრამ რამ აიძულა გლეხები, ყმებად რომ ხდებოდნენ? ჯერ ერთი, ვალმა. მუდმივი ომების მიერ გამოწვეულ ბეგარას ვერ აუდიოდნენ, კოტრდებოდნენ, ვალიანდებოდნენ და, როგორც შეუძლებელი მოვალენი, იძულებული იყვნენ ემუშავათ კრედიტორების მიწებზე. ამ გვარი დამოკიდებულება კი გარდიქმნა თანდათან ყმობად.

მეორე, გლეხთა დაბეგვრასა და დამონებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მთავრობას ეჭირვებოდა მოსამსახურე პირები, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები, რომელთაც, რადგან ფული არა ჰქონდა. აძლევდა გლეხებს.

რომ ბატონ-ყმობა ამ გზით დამყარდა, იქიდანაცა სჩანს, რომ სახელმწიფო გლეხებს შერჩათ პირადი თავისუფლება და ჰქონდათ უფლება ევაჭრათ, აეღოთ იჯარით [illegible], დუქნები და სხ. მაგრამ რადგან ხსენებული კატეგორიის გლეხებს თანდათან დაეპატრონენ მემამულეები, მეჩვიდმეტე საუკუნეში ისინი იყვნენ უმთავრესად მოსკოვის სახელმწიფოს ჩრდილო კიდეებზედ, ე. ი. ახლანდელი ოლონეცის, არხანგელისა და ვოლოგდის გუბერნიებში.

ბატონყმური ურთიერთობა შეიცავს როგორც ყმას, აგრეთვე ბატონს. თავად-აზნაურობა ჯერ „უდელების“ დროიდ—უკვე ჩამოყალიბებული იყო, მოსკოვის გაერთიანებულ სახელმწიფოში ამ წოდებამ ცოტათი სხვა ელფერი მიიღო. ძველი საუდელო მთავრების ჩამომავლობა თანდათან დაექვემდებარა მეფეს, შეიქნა მეფის „ხოლოპებად“. როგორც კურბსკისა და იოანე მეოთხის მიწერ-მოწერიდან სჩანს, არისტოკრატიულ თვითმართველობაზე თვითმპყრობელობის პრინციპმა გაიმარჯვა. ამის მიუხედავად „ბოიარების დუმას“ ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ის საკანონმდებლოსა და უმაღლეს ადმინისტრაციულ დაწესებულებას წარმოადგენდა.

უმდაბლესი ხარისხის „მსახური“, ან აზნაური, უნდა გამოსულიყო ომში თავისი გლეხებით, ორი ცხენითა და საგზლით. და, თუმცა მას მთავრობისგან ეძლეოდა ფულით დახმარება, მაგრამ გამოსაკვებ წყაროს უმთავრესად მისი მამული შეადგენდა. იოანე მეოთხის დროს ყოველ 150 დესიატინაზე უნდა გამოსულიყო ერთი კარგად შეიარაღებული კაცი [illegible] და ორი ცხენით, რადგანაც, ამგვარად, მეომართა უმთავრეს შესანახ წყაროდ მიწა ითვლებოდა, სახელმწიფო მამულები თანდათან ჩამოსჭრეს თემებს და გარდაიქცეს, როგორც საუკუნო სამკვიდრებელი კერძო საკუთრება, მამულეთ. ამგვარ კერძო საკუთრებას ეწოდებოდა „პომესტიე“.

„პომესტიე“ გაჩნდა უკვე „უდელთა“ ხანაში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა მეთექვსმეტე საუკუნის შუაში.

ეგრედწოდებულ არეულობის ხანამდის რუსული ქალაქი არ იყო გამოყოფილი სოფლიდან. ქალაქის ვაჭრები ვაჭრობდნენ და მიწის მუშები და მემამულენი—მეურნეობდნენ. შემდეგ კი მთავრობამ ქალაქი „პოსადად“ გარდაქმნა, მისცა მოქალაქეთ სამოქალაქო უპირატესობანი და დაადო მათ განსაკუთრებული გადასახადი.

გამდიდრებული ვაჭარ-მრეწველები მოსკოვში გადაყავდათ, მათ ეწოდებოდათ სტუმრები. სტუმრებს ჰქონდათ ვაჭრობა და საქარხნო წარმოება სხვადასხვა ქალაქში. ისინი განაგებდნენ სახელმწიფოს უმთავრეს გადასახადთა აკრეფას, უმთავრესად, სამეფოსა და სადუქნო შემოსავლის, საქმეს. მათ შეეძლოთ ჰქონოდათ „პომესტიები“ და უფლებრივი მხრით მსახურთ, ე. ი. აზნაურთ, უთანასწორდებოდნენ.

როგორც გლეხები, აგრეთვე პოსადის კაცებიც მიაკვრეს პოსადს. ეს პროცესი ნელ-ნელა მზადდებოდა და ბოლოს 8 თებერვლის 1658 წლის უკაზით სიკვდილით დაისჯებოდა, ვინც პოსადიდან პოსადში გადავიდოდა ან სხვა პოსადის ქალს შეირთავდა ცოლად. მეორე მხრით, მხოლოდ პოსადის კაცს ჰქონდა ვაჭრობისა და ხელოსნობის უფლება. გლეხებს კი მხოლოდ ურმებზე შეეძლოთ გაეყიდათ თავისი საქონელი.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ სამღვდელოება, მცველი მართმადიდებელი სარწმუნოებისა, საჭირო იყო, რომ მოსკოვის სამეფოს (აგრეთვე უკრაინის) შეერჩინა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და შეუღლებულიყო პოლონეთთან. (იხ. [illegible] ისტორიაში [illegible], წერილები ვასილენკოსი).

ვასილ წერეთელი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 22 დეკ. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიის ფრონტზე ჩვენი არტილერია მარჯვედ მოქმედებდა. ბატარეიამ ბელგიის არტილერიასთან ერთად მოხერხებულად დაუშინა ცეცხლი მტრის ბატარეებს სენჟორჟის ჩრდილოეთით. ზესენგეს ჩრდილოეთით და სტეენსტრეტეს რაიონში ჩვენ წარმატებით დავუშინეთ ყუმბარები მტრის სიმაგრეებს. სომის სამხრეთით დომპიერის ახლოს დავუშინეთ გერმანელების თხრილების პირველ ხაზს. შამპანში მტერმა სროლა აგვიტეხა და იერიში მოიტანა ხელით სასროლ ყუმბარებით ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ ტაგირის დასავლეთით, მაგრამ იერიში მტრისთვის უნაყოფო გამოდგა. ვოგეზებში საკმაოთ გაცხოველებული სროლა იყო არტილერიისა.

ჰავრი. 21 დეკ. ბელგიის ცნობა. წარსულ ღამესა და დღეს გაძლიერებული საარტილერიო სროლა სწარმოებდა იზერის ფრონტზე. მტერმა რამდენჯერმე დაუშინა ჩვენი ჯარის კაცების ჯგუფს ჩვენის ხაზების უკან, მაგრამ უშედეგოთ.

პეტროგრადი. 21 დეკემ. „ნაშ ვესტნიკ“-ში დასტამბულია: მთავარ სარდალმა, მათ იმპერატორებითი დიდებულებამ არმიის გაშინჯვის დროს 20 დეკემბერს ინება და მიმართა გიორგის ჯვრით დაჯილდოებულთ შემდეგი სიტყვებით:

„მოგმართავთ თქვენ, როგორც ჩვენი ჯარის ყველაზე გმირ წარმომადგენლებს, გულითადის და ღრმა მადლობით გმირულ, თავდადებულ სამსახურისთვის ეხლანდელ ომში და გთხოვთ გადასცეთ ჩვენი გულითადი მადლობა ჯარის იმ ნაწილებს, რომლებშიაც თქვენ ხართ და რომლებმაც გამოიჩინეს დიდი სიმტკიცე, რასაც აფასებს მთელი რუსეთი და მე. დამშვიდებული იყავით, როგორც ომის დასაწყისშივე განვაცხადე, არ შევკრავ ზავს, სანამ მტრის უკანასკნელ სალდათსაც კი არ გავაგდებ ჩვენი მიწა-წყლიდან. არ შევკრავ ზავს, თუ არ თანხმობით ჩვენს მოკავშირეებთან, რომელთანაც ჩვენ დაკავშირებულნი ვართ არა ქაღალდის ხელშეკრულობით, არამედ გულწრფელ მეგობრობითა და სისხლით. მე არ დამავიწყდება ეხლანდელი თქვენი ნახვა და მიხარიან, რომ ვნახე ჩვენი გმირი ჯარი თქვენის სახით. გთხოვთ გადასცეთ ჩემი მადლობა ჯარებს ერთგული სამსახურისთვის, რომელიც ჩემს გულს ახარებს. გფარვიდესთ ღმერთი!“

ლონდონი. 21 დეკემ. ოფიციალური ცნობა. ინგლისის ჯარმა კამერუნში დაიკავა დჟაუდინდი. მტერმა დაიხია სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩვენი ჯარი მტრის არიერგარდის პირისპირ სდგას. გერმანელების მთავრობა დჯაუდინდიდან გაიქცა.

ინგლისის ჯარის მთავარ ბანაკის ცნობა.

საფრანგეთში გუშინ საღამოთი ჩვენი ჯარის ერთ-ერთმა რაზმა ხელით სასროლ ყუმბარებით მოხერხებული იერიში მიიტანა. მეორე ადგილას მხოლოდ საარტილერიო ბრძოლაა.

პირველ დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა საყურადღებოდ.

ამ დღეებში ამავე გაზეთის პირველ გვერდზე იბეჭდება მეტად საყურადღებო განცხადება, რომელიც აუწყებს მასწავლებლებს, რომ ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა ინიციატივითა და სათანადო მთავრობის ნებართვით არსდება ქუთაისში ქუთაისის გუბერნიის ყველა სახელწოდებისა და ტიპის დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოება, რომლის საორგანიზაციო კრება დანიშნულია ქუთაისში ამ თვის 27 რიცხვისათვის—და შეუძლია ყველას, როგორც სამინისტრო, ისე სასულიერო, წ. კ. საზოგადოების და სხვა უწყებათა სკოლების მასწავლებლებს დაესწრონ ამ კრებას, მიიღონ მონაწილეობა. სიამოვნებით უნდა შევეგებოთ ასეთ ფრიად სიმპატიურსა და მასწავლებელთათვის სასარგებლო საზოგადოების დაარსებას. საზოგადოების მიზანია იზრუნოს მასწავლებელთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, დააკმაყოფილოს მათი სულიერი მოთხოვნილებანი და ხელი შეუწყოს სახალხო განათლების განვითარებას.

ამ მიზნის მისაღწევად და შესასრულებლად საზოგადოების მოქმედება გამოიხატება სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა, თავშესაფართა, კასების და ფილიალური განყოფილებების დაარსება—გახსნის საქმით.

საზოგადოების წესდებას დამსწრენი გაეცნობიან კრებაზე დაწვრილებით, რადგან წაკითხული იქნება სათითაოეულო მუხლი. რამდენად საჭიროა დღეს მასწავლებელთათვის და სასარგებლოა ასეთი საზოგადოების დაარსება-მოწყობა, ამის შესახებ პრესაში ბევრჯერ იყო საკითხი აღძრული, და რამდენიმე წერილიც დაიბეჭდა, ამიტომ ახლა ზედმეტად მიმაჩნია კიდევ ამაზე ლაპარაკი. თუ ქუთაისის მასწავლებლებმა დღემდი ვერ მოახერხეს ასეთი საზოგადოების წესდების დამტკიცება, ეს უნდა მივაწეროთ იმ გარემოებას, რომ გუბერნიის სამოსწავლო მთავრობა არ თანაუგრძნობდა ამ საქმეს, დღეს კი დღევანდელი დირექტორისა ბ. ვიშნევსკის და გუბერნატორის დახმარებით მოგვარიანდა ეს საქმე და საჭიროა მოქმედებას შევუდგეთ ახალი წლიდანვე, ამიტომ სასურველია მასწავლებლები ბლომად დაესწრონ ამ კრებას.

(მ) **ლადო ბზვანელი.**

სასიამოვნო ამბავი.

ფრიად სასიამოვნო ამბავი გვამცნო გაზეთმა სახალხო მასწავლებლებს:

„ამ თვის 27 რიცხვს, კვირას, დღის 11 საათზე ქუთაისში მთავრობის ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის ყველა სახელწოდებისა და ტიპის დაწყებითი სასწ. მასწავლებლების დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელი საორგანიზაციო კრება, რასაც საზოგადოების დამაარსებლები აუწყებენ მასწავლებლებს და სთხოვენ დაესწრონ ამ კრებას.“—ეს მოწოდება ყველა მასწავლებლის გულს შესაფერად აძგერებდა და დიდ სიამოვნებას მოგვრიდა. სრული იმედი გვაქვს, რომ ყოველი ჩვენგანი, სიამოვნებით დაესწრება ამ ფრიად მნიშვნელოვან კრებას და რაც ძალი და ღონე შესწევს, ხელს შეუწყობს მის ნაყოფიერ მუშაობას.

კარგი იქნებოდა კრება დაენიშნათ დეკემბრის 23 რიცხვში, რომ ყველა მასწავლებელს შესძლებოდა დასწრება, მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ეს გარემოება იმდენათ ვერ შეუშლის ხელს სოფლის მასწავლებელთ, თუ გაითვალისწინებენ კრების დიდ მნიშვნელობას. დიდ დანაშაულათ ჩაეთვლება იმ მასწავლებლებს კრებაზე დაუსწრებლობა, რომელთაც მიმოსვლა ხელს უწყობს. მაშ, ნუ დავერიდებით ხარჯს, დავესწროთ კრებას!

მასწავლებელთაგანი.

„დელი დელის“ საპასუხოთ

(სამშობლო № 240).

ბატონო „დელი დელი“, ჩემ წერილში ფოცხვერაშვილის კონცერტისა გამო თქვენ ორი წინადადება: 1—„კონცერტი სასიამოვნო მოსასმენი იყო, მაგრამ ფრანგული ელფერი დაკრავდათქო“, 2—„წმინდა ნინოს ტროპრის კილო“ გაგიკილოკავებიათ, მაგრამ თქვენც შეცდომის მორევში შეგიტოპავსთ. ფოცხვერაშვილის კონცერტის დროს თქვენ, ბ. „დელი დელი“, თუ შუაგულ გუნდში არ იყავით, ახლო მაყურებელი მაინც იქნებოდით, როგორც ეტყობა თქვენს წერილს, და, გაიგონებდით გალობის დროს, რომ ფიზგარმონიას აზუზუნებდენ გუნდში. გეცოდინებათ აგრეთვე, როგორც კარგ მცოდნეს ფრანგული, ანუ კათოლიკე ეკლესიის მუსიკის ისტორიისას, სადაც (ეკლესიებში) იმავე ფიზგარმონიის დახმარებით გალობენ სხვა და სხვა საღმრთო საგალობლებს. თუ იცით თქვენ ქართული საეკლესიო გალობის ისტორია, გეცოდინებათ ისიც, რომ ჩვენი ე. ი. საქართველოს ეკლესიიდამ დიდი ხანია განდევნილია მღვთის მსახურების დროს ყოველგვარი სამუსიკო იარაღის ხმარება ა , სწორედ ამიტომ შევნიშნე ეკლესიური თვალსაზრისით, რომ „ფოცხვერაშვილის კონცერტს ფრანგული ელფერი დაჰკრავდათქო“ და არა ფრანგული ხრმლის პროალა ელფერზე მქონია ლაპარაკი და რა არის აქ გასაკილოკავებელი?!

„წმინდა ნინოს“ ტროპრის შესახებ თქვენ თვითონ ამბობთ, რომ ერთი ფრაზა იყო დაცული, სხვა კი შესწორებულიო. ძალიან კარგი. მაშასადამე, კი ყოფილა ცოტაოდენი კილო მაინც დაცული და აქ არაფერი არ არის გასაკილოკავებელი და, თუ არის, მაშინ შემდეგს გიპასუხებთ. ყოველი ქართული საგალობელი:

ძლის პირი, დასდებელი, ტროპარი, კონდაკი და სხვა და სხვა შესდგება რამდენიმე მუხლისაგან, ანუ თქვენებურად ფრაზისაგან, ანუ უფრო მდაბიურათ წევრისაგან და, როგორც პირველი მუხლი იგალობება, იმავე კილოზე იგალობება დანარჩენიც. ეს უტყუარი კანონია ქართული საეკლესიო გალობისა, თუ იცით თქვენ ეს გალობა და, თუ ფოცხვერაშვილმა ნინოს ტროპარში პირველი მუხლი, ანუ ფრაზა კარბელაშვილის კილოზე იგალობა და დანარჩენ ტურჩანინოვის ჰანგზე მორთო, პირდაპირ უღალატნია ქართული გალობის კილოსათვის და ვაი თუ ფოცხვერაშვილმა ნაცვლად ქართული გალობის აღდგენისა ხელში შემოგვაჩეჩოს სხვა და სხვა ევროპიულ ჰანგზე შეთხზული გალობა, რომელიც სრულიად არ შეეფერება ქართულ გალობა კილოს, რა არის ქართული გალობის კილო და ხასიათი ამას რომ გავყვეთ შორს, წაგვიყვანს.

ამ ჩემი პატარა წერილის ბოლოში არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი შემთხვევა ფოცხვერაშვილის კონცერტზე 29 ნოემბერს. სადაც მე ვიჯექი გვერდში მიჯდა შუა ხნის რუსი „ზნაჩოკით“. მან მთხოვა, რადგან ქართული არ მესმის რაც იგალობონ, გადამითარგმნეო. მეც ვუ რულებდი. გუნდმა დაიწყო ,,წარემართე ლოცვა ჩემი‘‘ რას გალობენ? მე დავუსახელე. Батюшка, это сочиненіе Турчанинова № такой то-ვო თუ ასე ასაღებდეს ბ. ფოცხვერაშვილი სხვა და სხვა ევროპიული კომპოზიტორების თხზულებებს ქართულათ?!

დეკანოზი **ი. წერეთელი.**

20 დეკემბერი 1915 წ.

ჩვენი ფოსტა.

ტყიბული. ბ. ი. ბოჭორიშვილს. გამოგზავნეთ ორი თვისა. როგორც ჯარის კაცს, დაგეთმობათ.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2 დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул. д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инжинерная, д. № 9. Центральное справочое, бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობის მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით სცხოვრობს).

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს. 50 წ.
„ — საღამ. — 6 ს. 57 წ.
ბათომიდან — დღისით — 1 ს. 25 წ.
„ — ღამის — 2 ს. 23 წ.
ფოთიდან — დილის — 10 ს. 8 წ.
ტყიბულიდან — საღამოს — 7 ს. 39 წ.
შორაპნიდან — დილის — 9 ს. 18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის — 11 ს. 55 წ.
„ — ღამის — 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ — დღისით — 5 ს. 30 —
„ — დილის — 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ — დღისით — 4 ს. 27 წ.
ტყიბულისკენ — დილის — 6 ს. 20 წ.
შორაპნისაკენ — დღით. — 5 ს. — —

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვიხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

„სორაპნის“ გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული

კედლის კალენდარი 1916 წ.

შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:

ტფილისი, ხტბამ „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს

და ქ. ქუთაისში, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—15

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

ტფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იზოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეშული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

სალი კუჭი

ქელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაბზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაბზობა წყაროა მთელი წყება კუჭ ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას.

ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ქელაგარი** ექ. ვეზისა გვიჩვენებს ჩვენ ახალსა და უტყუარ რადიკალურ გზას ყაბზობისა და მის მწვავე შედეგებისაგან გასაკურნავათ. **ქელაგარი** ექ. ვეზისა აძარწყლებს კალიგვის მასას, ასიებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მათ ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ქვილს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგანა.

ქელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისათვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფებისაგანაც კი.

პრეპარატ **ქელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით **ბროშურა** კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება **უფასოთ.**

ნამდვილი **ქელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქ. ქუთაისში **ა. პ. შავიშაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში.

ქელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კ.